*ფასი 30 თეთრი*

# ფანტაზია

№ 7
(78) 1998
10 მარტი



## მფრინავი თეფშები თუ ქამელეონები?!

## კროს-ჩემპიონატის მე-6 ტური

## SUPER



## სკანდინავიური კროსვორდი

6-7

## CROSS



## სპირალი

## ჩვენი ქვეყანა

2

## SHOW



## ისტორიის შავ-თეთრი უჯრები

8

## კომპიუტერული იმპერატორი

4



**თარაზულად:** 2. პარლამენტარების და სტუდენტების საერთო თავშეყრა. 6. კვლავაც კომუნისტური ქვეყანა. 7. ელექტროხელსაწყო. 8. რაიმე ქმედების დროებითი შეჩერება. 10. ინდიელთა ნავი. 11. ინდოელთა „თავი". 13. ფასიანი ქაღალდები (-ები თქვა!). 15. (მისტურ) გრინი, აშშ მწერალი. 17. ვანცეტის მეგობარი. 18. რა არ უნდა მოგვეშალოს ჩვენ და თქვენ (... და მათაც!).
**შვეულად:** 1. იაპონური ორთაბრძოლის. 2. დასასვენებელი დაწესებულება. 3. ოკეანიის ეგზოტიკური სახელმწიფო. 4. სიძველეთა „მცველი". 5. (ბატონი) სამგინი, გორკის შემოქმედებიდან. 8. ძალიან პატარა. 9. ვინ „ზის" კროსვორდის ჩარჩოში? 12. საქართველოს ტელევიზიის ტელეგადაცემა. 14. დანიელი ფიზიკოსი. 15. ძველებური საყვირი.



## ყვავილების ქვეყანა

9



*„ფანტაზიის“ მკითხველო ბატონებო და ქალბატონებო, ამიერიდან ეს (მე-2) გვერდი თქვენს განკარგულებაშია; მოგვაწოდეთ ნებისმიერი ინფორმაცია, გამოხმაურებანი თუ მილოცვა-მოკითხვები, რომელთა გამოქვეყნებასაც ისურვებდით თქვენთვის განკუთვნილ საგაზეთო გვერდზე*

მანანა მაისურაძე (პედაგოგი)

## ჩვენ დედამიწას შვილობა ვერ გავუწიეთ!

*(გამოხმაურება წერილზე „ადამიანი და ნიღაბი“)*

...არსებობს კანის დაავადებანი (თუნდაც მუნი), რომელთა განკურნვა გარეგანი საშუალებებით ხდება. მაგრამ არის ისეთი სნეულებანიც, რომლებიც შინაგანი ფაქტორითაა გამოწვეული და არავითარი მალამო თუ სალბუნი არ შველის, სანამ მათი წარმოშობის მიზეზი არ დადგინდება.

ასეთად მიმაჩნია ნიღაბიც.

ხშირად მიფიქრია ამ საკითხზე და ყოველთვის იმ დასკვნამდე მივსულვარ, რომ ადამიანმა რა იცის, თუ რისთვის მოვიდა ამქვეყნად. დედამიწის ზურგზე ყველასა და ყველაფერს თავისი ფუნქცია და დანიშნულება გააჩნია, ყველაფერი ურთიერთჰარმონიაშია მოყვანილი; მცენარეები და ცხოველები, ყოველგვარი კოდექსებისა და კანონების გარეშე, შესანიშნავად აწესრიგებენ ურთიერთობას და ამას მეცნიერები ბიოგეოცენოზს უწოდებენ. ჩვენ რამდენიც არ უნდა ვიძახოთ, რომ ფლორისა და ფაუნის წარმომადგენლებს გონი არ გააჩნიათ, რომ ისინი ინსტინქტებით ხელმძღვანელობენ, იმას მაინც ვერაფრით უარვყოფთ, რომ მათ მიერ გამოყენებულ საარსებო საშუალებებს ადამიანი ხელმეორედ იგონებს (გაიხსენეთ – ღამურების ლოკატორები... ან თუნდაც ხე, რომელსაც სითხე ათობით მეტრის სიმაღლეზე აქვს, ყოველგვარი ტუმბოებისა და ძრავების გარეშე...). აბა, გავიაროთ ტყეებსა და მინდვრებში და ვნახოთ – როგორი სუფთა და მოწესრიგებულია ყველაფერი, მაგრამ საკმარისია ადამიანი გამოჩნდეს, რომ ირგვლივ ყველაფერი ჭუჭყიანდება. არცერთ ცხოველს არ გამოუგონია საკუთარი მოსპობა-განადგურების იარაღი, ეს მხოლოდ ადამიანმა გააკეთა! იქმნება შთაბეჭდილება, რომ ადამიანი თითქოს-და მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რომ ყველაფერი შეჭამოს, გადააგვაროს, მოწამლოს და აღგავოს პირისაგან მიწისა.



ჩვენ ვერ ჩავებით ბუნების საერთო ჰარმონიაში; ამას ქვეცნობიერად ვგრძნობთ, ვიტანჯებით და ნიღაბიც ამიტომ გვაქვს აფარებული!

ამ ნიღბებისა გამო, შესაძლოა ადამიანს ადამიანი შესძულდეს კიდეც, მაგრამ არც ამის გაკეთებაა საკადრისი და, მით უმეტეს, პრობლემის გადამჭრელი საშუალება.

... მეტნაკლებად ყველანი ნიღბოსნები ვართ; ამ ნიღბებით, ალბათ, ჩვენს უმწეობას ვმალავთ, ვმალავთ იმას, რომ დედამიწას ნამდვილი შვილობა ვერ გავუწიეთ, რაც, ჩვენდა სავალალოდ, ადრე თუ გვიან, ცუდი შედეგით დაგვიბრუნდება.

**„ფანტაზიის“ მე-4 ნომერში გამოქვეყნებული საპრიზო კროსვორდი სწორად შეავსეს ნ.ჯლამაძემ (ხონი), ზ.სესიტაშვილმა, ზ.ჩეკურიშვილმა (სიღნაღი), ლ. ბახტაძემ (თბილისი), რ. დავლაძემ (თბილისი) სწორედ ამ უკანასკნელს გადაეცემა ჩვენს მიერ დაწესებული პრიზი — კომპიუტერული კომპაქტდისკი. ბატონ ზ.ჩეკურიშვილს კი ვაცნობებთ, რომ მისთვის სასურველი ნომრები გაზეთ „ფანტაზიისა“ მას გადაეცემა (ან გადაეგზავნება) ნებისმიერ დროს მისთვის სასურველ მისამართზე.**

*ყოველი ნომრის ამ სვეტში კროს-სერიალი*

# ჩვენი ქვეყანა



**თარაზულად:** 9. ქართული ხუროთმოძღვრების შედევრი. 10. (ქალბატონი) გუზუშვილი, ქართული თეატრალური სამყაროდან. 11. ჩვენი კულტურის უძველესი კერა საქართველოს ფარგლებს გარეთ. 12. ქართულ კულტურაში მოყვრად მოსული რუსი კომედიოგრაფი. 14. გაზაფხულის ნახნავი. 15. იტალიური სიმღერის სახესხვაობა, რომელსაც დიდებულად ფლობდნენ (...და ფლობენ) ქართველი ტენორები. 16. (ცოტა გადავუხვიოთ) როგორ მიმართავს თავის ნაპოვნ შვილს ბლეიქ ქერინგტონი (...და ესაა დღეს ქართული კულტურა?!) 18. თბილისის ერთ-ერთი გარეუბანი. 19. მუსიკალური ნაწარმოების მთავარი თემა. 21. გაგანია კომუნისტობისას უცხოეთში ემიგრირებული ქართველი კინომსახიობი. 22. ქართული გაზეთი. 24. (ბატონი) მოსაშვილი, ქართველი მწერალი. 28. ბოსტნეული, რომლის „შთამომავალიცაა“ ქალბატონი მაგდანა „ძველი ვოდევილებიდან“. 29. ქართულ ესტრადის ერთობ პოპულარული სახელი ქალისა. 30. აკაკი ვასაძის სამსახიობო შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალი. 32. (ერთიც გადავუხვიოთ... თანაც რა მანქანით!) ე.წ. „ფირმა“ ავტომობილი. 33. მუსლიმანურ „ტყვეობაში“ მყოფი ქართული კულტურის ძეგლი. 34. რა შეიძლება შეეშალოს მღვდელს? 35. (თუნდაც) მხატვრული ქმნილების გამომკვლევ-გამომწვლილველი ნააზრევი.

**შვეულად:** 1. ისტორიული ნაგებობა თბილისის სამხრეთ-დასავლეთით. 2. ერთ-ერთი ცნობილი „სიონის“ ადგილმდებარეობა. 3. ქართული (უნიკალური) თვლის სისტემის საფუძველი. 4. ჩვენი ისტორიის ყველაზე ცნობილი მიქაელი. 5. ქალაქი, რომელსაც გაქართულებული „დარუბანდი“ შეესაბამება. 6. ალექსანდრე ჩივაძის საფეხბურთო ამპლუა. 7. (უკაცრავად და... ერთიც გადავუხვიოთ) ბანკში უკან გადაგზავნილი ფული (ხელფასი). 8. თანამედროვე ქართული სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ლიდერი. 13. (შესაძლოა, ვცდებით?!) „ვაზის ყვავილობის“ მთ.პერსონაჟის სასოფლო-სამეურნეო პროფესია. 17. ქართული კინოს ერთ-ერთი ტანკისტი (ოღონდ ომის დროს!) 20. ქართული სამსახიობო ხელოვნების ლეგენდადქცეული წარმომადგენელი. 23. ქართული კულტურის თანამედროვე ადმინისტრაციული ლიდერი. 25. გიორგი I-ის დეიდაშვილი. 26. ჩვენი ისტორიიის (ერთ-ერთი) აბაშიძე. 27. გოეთეს ქმნილება, რომელსაც დიდებულად კითხულობდა გენიალური სერგო ზაქარიაძე. 31. საქართველოში პოეზიასთან გაიგივებული ერთ-ერთი სახელი.

**ზემორე სერიალმა დიდი დაინტერსება ვერ გამოიწვია მკითხველთა შორის, ამიტომაც შემდეგი ნომრიდან შევწყვეტთ მის პუბლიკაციას და სხვა, უფრო საინტერესო რამეს მოვიგონებთ.**

**ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე დაკვირვების ისტორიამ თავის მხრივ რაღაც უცნაური მითოლოგია შექმნა, რომელთან დაკავშირებით გერმანელმა მეცნიერმა ჰელმუტ ჰეფლინგმა თქვა: „პირველ რიგში თვალში საცემი არის ის , რომ ეპოქათა ცვალებადობასთან ერთად ამ უცნობი ობიექტების აღწერისას მათი ფორმებიც იცვლებოდაო“. შესაძლოა ფორმათა ცვალებადობა ადამიანის მიერ საკუთარი საფრენი აპარატების გამოგონებათა დინამიკასთანაა დაკავშირებული და ამას ორი ახსნა აქვს — სიბიექტური და ობიექტური:**



# „ფრინავი თეფშები“ თუ ქამელეონები

**1) ან თავად ადამიანის ილუზიაა დამანაშავე ამოუცნობი მფრინავი ობიექტების გარეგნულ ალმათა ცვლაში ან 2) თავად მფრინავი ობიექტები იცვლიან ქამელეონივით ფორმას და ემსგავსებიან ამა თუ იმ ეპოქისათვის დამახასიათებელ მფრინავ თუ არამფრინავ საგნებს.**

**...მაინც როგორ?**

## დისკოები

რომაელი მეცნიერი პლინიუს-უფროსი (21-79 ჩვ.წ.) ციურ სხეულთა კლასიფიცირებისას მოიხსენიებს ერთგვარ „დისკოიდებს“, რომელთაც მუქი ქარვისფერი შეფერილობით ახასიათებს; სხვა რომაელი მეცნიერები ამოუცნობ ობიექტთა აღწერისას იყენებენ ცნებას „კლიპეუმ“ ანუ „მფრინავი ფარი“ და ისიც კია დათვლილი, რომ რომაელი ავტორების 50 თხზულებაში „მფრინავი ფარები“ 11-ჯერაა მოხსენიებული.

შუა საუკუნეების ავტორებიც პროზაული „თეფშის“ ნაცვლად უფრო ხშირად საბრძოლო ფარის გარეგნობას იყენებდნენ „ამოუცნობ მფრინავთა“ ხსენებისას. ასე მაგალითად, 776 წელს შექმნილ „ლაირისის ქრონიკებში“ ნათქვამია, რომ ზიგიბურგის ციხე-სიმაგრის ალყის დროს მეომრების თავზე გამოჩნდა „ორი უზარმაზარი ფარი“, რითაც ყველა დაფრთხა; ასევე ხშირია „დისკოების“ აღწერა მონასტრულ ქრონიკებში. 1290 წლის ემპლფორტსის სააბატოს ჩანაწერებში ნათქვამია, რომ ნახირს ადევნებულ ბერებს თავს წამოადგა უზარმაზარ ვერცხლისფერი ოვალური სხეული, რამაც პანიკა და არეულობა გამოიწვია მთელ მონასტერში და ეჭვიც კი არაა გამოთქმული იმის თაობაზე, რომ შესაძლოა ეს ოპტიკური მოვლენა ყოფილიყო. 1490 წელს „მფრინავმა დისკომ“ სამრეკლო ჩამოანგრია, 1577 წელს ვინმე პიერ ბუერტომ ტიუბინგენის სიახლოვეს მის მიერ ნანახი ობიექტები „უზარმაზარ შლაპებს“ შეადარა და მხოლოდ 1676 წელს შესრულებულ ერთ ჩანაწერშია შედარებული ეს ობიექტები „თეფშს“.

XIX საუკუნეში „მფრინავი დისკოების“ აღწერის ფაქტები ძალზედ ხშირია, განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

1863 წლის 14 აგვისტოს „**Gazeta de Madrid**“ წერდა – „გუშინწინ საღამოს მადრიდის ცის აღმოსავლეთ ნაწილში შემჩნეულ იქნა რაღაც მანათობელი მოწითალო თეფში, რომელსაც მოჯაშკაშე გუმბათი ედგა თავს. ერთ ადგილას ხანგრძლივი დაკიდების შემდეგ ობიექტმა ჰორიზონტალური და ვერტიკალური მოძრაობები შეასრულა და შემდეგ თვალს მიეფარა...“

1870 წლის 22 მარტს ხომალდ „**Lady of the Lake**“-ს მეზღვაურებმა სამხრეთის ცაზე ღიარუხისფერი დისკოსებრი ობიექტი შენიშნეს. დისკოს შიგნით ნახევარწრე მოჩანდა, რომელიც ოთხ ნაწილად იყო დაყოფილი; ობიექტი ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით ირიბად მოძრაობდა და ცის თაღზე წამიერი შეჩერების შემდეგ საღამოს ბინდში გაუჩინარდა.

ჟურნალმა „**L'Astronomie**“-მ კი მკითხველს მოუთხრო, რომ 1893 წლის 20 დეკემბერს ვირჯინიის, ჩრდ. და სამხრეთ კაროლინის მრავალმა მცხოვრებმა საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ გადაიქროლა მათს თავებზე „ვეება ბორბალმა“, რომელიც აღმოსავლეთი მიმართულებით გაუჩინარდა.

1894 წლის 26 აგვისტოს ცნობილმა პოლარულმა მკვლევარმა, ადმირალმა ერაზმ ომენიმ ლანბერისში (ჩრდ. უელსი) და ინახა დისკო, რომელმაც კაშკაშა-ნარინჯისფერი სხეული ამოტყორცნა („**Nature**“ 27.IX.1894.)

მფრინავი ობიექტის დისკოდ აღმის ფაქტი 1947 წელსაც კი დაფიქსირდა.

## ვარსკვლავისებრი ობიექტები

ცნობები „მოხეტიალე ვარსკვლავების“ შესახებ არაერთხელ გვხვდება უძველეს ხელნაწერებსა და ქრონიკებში. ასე მაგალითად, ლეონ დიაკვანი თავის „აღსარებათა“ მეათე წიგნში წერს, რომ 989 წელს ბიზანტიონის თავზე გამოჩნდა „ვარსკვლავი“, რომელმაც „ერთი ამაღლებისას ცაზე რამოდენიმეჯერ შეიცვალა თავისი ადგილმდებარეობა და ამასთანავე სწრაფ და მოულოდნელ მოძრაობებს ასრულებდა“. 1656 წლის 2 აგვისტოს კი ტობოლსკში იხილეს „ვარსკვლავი“, რომელიც შუადღისას გამოჩნდა ცაზე და, ერთხანს გააკაშკაშა რა მთელი ზეცა, დასავლეთის მიმართულებით გაუჩინარდა.

მთელი XIX საუკუნის მანძილზე გაზეთი „**Times**“-ი რეგულარულად აშუქებდა ასეთ მოვლენებს. 1848 წლის 18 ნოემბრის ნომერში ნათქვამია, რომ ქალაქ ინვერნესის (შოტლანდია) ცაზე ნახეს „ორი დიდი ელვარე ცეცხლი, რომლებიც ვარსკვლავებს წააგავდნენ“; ეს „ვარსკვლავები“ თურმე ხან ჩერდებოდნენ და ხან სწრაფ მოძრაობებს ასრულებდნენ... 1877 წელს კი უელსის ქალაქ თაუნში ვარსკვლავისებრი საგნები საოცარი სიხშირით იჩენდნენ თავს — ზოგჯერ ერთად რვა ობიექტიც ჩანდა.



ის, რასაც ჩვენ ირონიულად „მფრინავ თეფშებს“ ვუწოდებთ, ყოველთვის არსებობდა. ეს მფრინავი ობიექტები პირველყოფილმა ადამიანებმაც კი აღბეჭდეს გამოქვაბულის კედლებზე, თუმცა, კრომანიონელთა ხანიდან მოყოლებული, ამოუცნობი მფრინავი ობიექტების ფენომენში დიდი ვერაფერი სიცხადე შეიტანა კაცობრიობამ.

ვარსკვალავისებრი ობიექტების მასობრივი ფრენა ზოგ ჯერ ყველაზე გაბედული წარმოსახვის ადამიანსაც კი გაოცებულს ტოვებდა. 1880 წლის 22 მარტს გერმანიის ქალაქ კატენას მცხოვრებლებმა იხილეს, თუ როგორ ამაღლდა ჰორიზონტზე მანათობელ საგანთა უზარმაზარი რაოდენობა და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით გადაადგილდა, ცაზე შექმნეს რა მოძრავი საგნების განიერი ზოლი („**Nature**“ 20.V.1880).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში თითქმის არ იყო დღე, ასეთი „ვარსკვლავების“ შესახებ ინფორმაცია რომ არ გამოჩენილიყო. ზოგჯერ ეს ობიექტები ღამეულ ცაზე ერთგვარ სპექტაკლსაც კი წარმოაჩენდნენ ხოლმე. ასე რომ, „ვარსკვლავისებრი მფრინავი ობიექტების“ ფენომენი ყველა დანარჩენივით ხანგრძლივ ისტორიას მოითვლის.

## სფეროები

უკვე ხსენებული პლინიუს-უფროსი „მფრინავი სფეროების“ ცალკე ჯგუფსაც კი აღწერს. განსაკუთრებით ბევრი ინფორმაცია გვხვდება რომაელი ისტორიკოსის იულიუს ობსეკუენსის ჩანაწერებში. მაგალითად, ჩ.წ. 91 წელს მან დააფიქსირა ფაქტი, რომ „...სპოლეტიუმის სიახლოვეს ციდან დაეშვა მომწვანო ფერის ცეცხლოვანი სფერო.“ ციცერონი „წინასწარმეტყველებათა“ ტრაქტატში წერს, რომ თვით სენატშიც კი განიხილეს ის ამბავი, რომ „ზეცა განრისხდა და უცნაური სფეროები მოავლინა იქიდან“.

„მფრინავი სფეროების“ არსებობის ფაქტი „ფრანკთა ისტორიის“ 590 წლის ჩანაწერშიაცაა დადასტურებული. კარლოს დიდი პირადმა მდივანმა, ვინმე ალკუინმა კი 810 წელს ასეთი ჩანაწერი გააკეთა – „უზარმაზარმა სფერომ“ ისე დაფრთხო მისი უდიდებულესობის ცხენი, რომ ის ყალყზე დადგა და პატრონი ძირს ჩამოაგდოო.

„საჰაერო ბურთის“ გამოგონებამდე ასეულობით წლით ადრე დედამიწას უცნაური „ბურთები“ დასტრიალებდნენ თავს და სულ უფრო მეტი თვითმხილველის მხედველობის არეში ექცეოდნენ.

1520 წელს ერფურტს ცაზე ერთმა დიდმა და ორმა მომცრო სფერომ გადაუფრინა, 1561 წელს მსგავსი რამ ნიურნბერგში განმეორდა, 1566 წელს კი – ბაზელში. 1888 წელს „მფრინავი სფერო“ სამი წუთის განმავლობაში სანქტ-პეტერბურგელებმაც იხილეს.

ვარაუდი იმის შესახებ, რომ ესენი მეტეორიტები ან სფეროსებრი მეხი იყო უარყოფილია, რადგან არსებობს ფაქტები, როცა მსგავსი საგნები წყლიდან ამოფრენილან. 1887 წლის 12 მარტს რასის კონცხის სიახლოვეს წყლიდან ამოფრინდა ვეება „ცეცხლოვანი სფერო“, რომელიც ქარის საწინააღმდეგოდ მოძრაობდა და ცაში გაუჩინარდა („**L'Astronomie**“).

1893 წელს გამოუცნობი „მფრინავი სფერო“ ჰელსინგფორსის სიახლოვეს რამოდენიმე წუთის განმავლობაში ეკიდა ცაზე.

1897 წელს სოლომონ ანდრეს დაკარგული ექსპედიციის ძიებისას ცაზე უამრავი სფეროსებრი სხეული იხილეს, რომელთაც ანდრესთან არანაირი კავშირი არ ჰქონდათ, რადგან ისინი მნათნი და მოკაშკაშენი იყვნენ.

ახალი დირიჟაბლების და თვითმფრინავების გამოჩენის შემდეგაც კი (1900 წ.) სფეროსებრი ამოუცნობი ობიექტები არ გამქრალან ცის ტატნობიდან. თვით სსრკ-შიც კი დააფიქსირეს ასეთი სფეროსებრი ამოუცნობი ობიექტების არსებობა 1923-40 წლებში, ხოლო ნ.რერიხმა მსგავსი ობიექტი ჰიმალაებშიც იხილა.

„მფრინავი სფეროები“ საჰაერო ბურთებით ძმები მონგოლფიეების ფრენამდეც არსებობდა მას შემდეგაც და არც არსად დაკარგულან მაშინაც კი, როცა საჰაერო ბურთებზე ფრენა ადამიანმა დავიწყებას მისცა. ასე რომ, „მფრინავ სფეროთა“ არსებობა ცაზე არაფრითაა დამოკიდებული მიწიერი ტექნიკის განვითარებაზე.

არსებობს ინფორმაცია, სამკუთხედი და სიგარის ფორმის მფრინავ საგანთა არსებობის შესახებაც, რაც ზედმეტ დაკონკრეტებას აღარ საჭიროებს

# ჰენრი ჰიგინსის სინდრომი ანუ ჩემი მშვენიერი ენა

...რაღა დაგიმალოთ და, ამ გვერდზე სულ სხვა ხასიათის მასალის გამოქვეყნებას ვაპირებდით, მაგრამ ამ დილით (21.03.), სახლიდან გამოსვლას რომ ვაპირებდი, თვალი მოვკარი, რომ მე-2 არხით ერთი შესანიშნავი ფილმის - „ჩემი მშვენიერი ლედის" (გადაღებულია 1964 წელს) – დემონსტრირება მიმდინარეობადა, მოვკარი (თვალი) და... ვეღარ მოვწყვიტე! მიუხედავად იმისა, რომ კატეგორიული წინააღმდეგი გახლავართ იმ მომადაქცეული აზრისა, რომ დასავლური სამყაროს ყოველგვარი „პოროდუქტი" უცილობლად აღფრთოვანების საგანი უნდა იყოს, ეს ფილმი მართლაც იმსახურებს ყოველგვარ აღფრთოვანებას, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ბერნარდ შოუს პიესაზე, რაც საფუძვლად დაედო ამ ფილმს.

პრობლემა იმისა, რომ მშობლიურ ენას გაფრთხილება და დაცვა სჭირდება, თურმე 100 წლის წინადაც ცხოველმყოფელი ყოფილა და თანაც ჩვენგან აგრერიგად გაფეტიშებულ ინგლისურენოვან სამყაროში. თურმე ყოფილა!.. და, ამის მიზეზი, რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს აზრი, ის საზოგადოებრივი გარემო გახლავთ, რასაც ე.წ. საბაზრო ეკონომიკა ჰქვია და რაც განსაზღვრავს არა მარტო ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას, არამედ მათს კავშირს ყველაფერ გარემომცველთან და მათს შორის მშობლიურ ენასთანაც.

ჰენრი ჰიგინსის წუხილი, ინგლისური ენის იავარყოფისა გამო, დღეს საიცრად აქტუალურად ჟღერს ჩვენს სინამდვილეშიც, რადგან ჩვენთან ახლაა შექმნილი დაახლოებით ისეთივე სოციალურ-ეკონომიკური გარემო, როგორიც 100 წლის წინ იყო ლონდონში, როცა ბერნარდ შოუ „პიგმალიონს" წერდა. ანუ:

ოღონდ გაიყიდოს „ყვაილები" (დიახ, "ყვა-(ვ)-ილები" და მისთანანი) და არავინ წუხს იმაზე, თუ როგორ და რაგვარად სწირავს მშობლიურ ენას მსხვერპლად ამ „ვაჭრადქცეულ ბომონს". ამის თაობაზე რამოდენიმეჯერ ითქვა ჩვენი ტელევიზი(ებ)ის ეკრანიდან, მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ რეპლიკებს ყურად აღარავინ იღებს! ახლა ის დრო აღარ არის, როცა ტელევიზიით გამოთქმული კრიტიკისა გამო ვინმე „სკამის" (ან მისთანის) დაკარგვის შიშისთ ფორმალურად მაინც შეეწინააღმდეგება მშობლიური ენის იავარქმნის პროცესს. ის დრო წავიდა!... ახლა ფულის შოვნაა მთავარი და განა ასეთი „დიადი" მიზნის ფონზე „ჩირად ჩასაგდებია" თითოოროლა მშვენიერი ქართული სიტყვის უარყოფა (...და თანდათანობით დაკარგვა)?!

ამ საუბარმა შეიძლება ძალზედ შორს წაგვიყვანოს და ისევ სჯობს ბერნარდ შოუს მაგალითს მივბაძოთ და, რიტორიკული შეცხადებების ნაცვლად, ირონიული და, გნებავთ სატირულ, ჭრილში განვიხილოთ ეს ჩვენი პრობლემა.

## პირველი სცენა

ჰენრი ჰიგინსის სინდრომი - ყველა ადამიანის მეტყველებაზე დაკვირვება – ამ ბოლო დროს მეც დამჩემდა. ვუსმენ მოსაუბრეს და მის მიერ წარმოთქმული ბგერების საშუალებით შემიძლია დავადგინო, თუ საქართველოს რომელი კუთხიდან გახლავთ იგი, რას საქმიანობს და, საერთოდ, რა წარმომავლობა აქვს.

...ჰოდა, ვზივარ ერთხელ ე.წ. „მარშრუტკაში" და ორი ასაკსვერშერიგებული ქალბატონის საუბარი მესმის. ისინი საკმაოდ ხმამაღლა, მეგრულად საუბრობენ და არცთუ იშვიათად ახსენებენ ვინმე „ზვიად" პიროვნებას. მართალი გითხრათ, არანაირი პოლიტიკური იარლიყი ამ ქალბატონებისათვის არ მიმიკერებია, რადგან ეს ჩემი საქმე არ გახლავთ, მე მხოლოდ იმას ვფიქრობდი - რატომ წარმოთქვამენ მეგრულად „ლ"-ს ასე მაგრად და ქართულ საუბარზე გადასვლისას რატომ არბილებენ-მეთქი ამ ბგერას და, თითქოს ჩემი ფიქრი გაიგესო, ამ ქალბატონებმა უცებ „მიახკი ზნაკიანი" ლას-ების კორიანტელი დაატრიალეს ქართულად:

- პარლხამენტია ყველხაფერი დანაშაულხის მიზეზიო! - თქვეს და მე იჭვნეულად შემომხედეს - „აგენტი" არ იყოსო ვინმე?! - რადგან შენიშნეს, რომ მათს საუბარს ვაკვირდებოდი (ასევე ეგონა ელიზა დულიტლსაც ჰენრი ჰიგინსი რაღაც უწყების აგენტი, როცა ფონეტიკის სპეციალისტი ჰიგინსი მის მეტყველებას „ნოუთ-ბუქში" - დაიმახსოვრეთ ეს სიტყვა! - ინიშნავდა).

სამარშრუტო ტაქსმა მკვეთრი მოსახვევი გააკეთა, ლამის ავტობუსს შეასკდა და, ამან მეც და იმათაც ეს საკონტაქტო „ეჭვი" გაგვაწყვეტინა. მცირე ხანში ისევ მომესმა ფრაზები:

- ეროვნულხი სულხი... ეროვნულხი ლხიდერი... ხალხხის რჩეულხი და ის იყო, კვლავ დავცქვიტე ყურები, რომ ერთმა ქალბატონმა მძღოლს მიმართა:

- შოფერ, გააჩერე მანდ უგოლხში!

...და, მოდით ჩვენც გავჩერდეთ ამ „უგოლხში" და სხავ „უგოლხში" გადავიდეთ.



ჰენრი ჰიგინსი – რექს ჰარისონი



ელიზა დულიტლი - ოდრი ჰეპბერნი

## მეორე სცენა

მეტროპოლიტენის გადაჭედილ ვაგონში ვდგავარ და ზურგსუკნიდან კომპიუტერული ტერმინოლოგიის ისეთი კორიანტელი მესმის, რომ ლამისაა შუა წარმოსახვაში გაზეთის დაკაბადონება დავიწყო. „ქორელიო", „ექსელიო", „ქვარქიო", „პროცესორიო"... მესმის და, იმ დაწყევლილი „ჰიგინსისეული სინდრომის" გამოისობით ვხვდები, რომ ამ ცნებათა დამკორიანტებელი ზემო იმერეთიდან ახლად ჩამოქალაქელებული და, ღვევანდელი მოდის კვალობაზე, კომპიუტერულ ტექნიკასთან „გა-შენ-შინ-აურებული" გახლავთ. არც ჩამოქალაქელებულობას და არც წაკომპიუტერულობას მე საძრახისი კუთხით არ ვახსენებ, ჩემი ყურადღება სხვა ფაქტორმა მიიპყრო - სადაც კი ინგლისური სიტყვის ქართულ ყაიდაზე თქმა დასჭირდა იმ ჩემი ცოდვით სავსეს, ყველგან „კ"-ს ნაცვლად „ქ"-ს და „ტ"-ს ნაცვლად „თ"-ს ამბობდა და არც ეს გამკვირვებია... უბრალოდ ამ ფაქტმა მისი „ეროვნული" ორიენტაცია გამომიაშკარავა და უცებ...

– ამ პროგრამას თავისი „ნოტებუკი" მო(ჰ)ყვებაო... (?!)

...ვერ გავიგე?!

რატომ არ თქვა – „ნოუთ-ბუქი" (ანუ - ბლოკნოტი, „ჩვენებურად") ?! განა აქ საჭირო არ იყო იმ „ოქროს წესის დაცვა", რომ ქართულად სიტყვა ისევე უნდა წარმოვთქვათ, როგორც ორიგინალში იხმარება?!

...ვერ გავიგე?!

როგორც ჩანს, „ქერბი-ქრისთლის" წარმომთქმელთა გარემოში ეს სიტყვა – „ნოუთ-ბუქ" – საერთოდ არ იხმარება და ამიტომაც იმ „მეტროს კომპიუტერშჩიკმა" მის მიერ ეკრანზე დანახული სიტყვა ისევე წარმოთქვა, როგორც ეწერა – **Note-Book.**

... აი, ამაშია საქმე – ენის ბედ-იღბალი მავანთა მოდურ კაპრიზებზეა დამოკიდებული... სამწუხაროდ!

ღმერთმანი, (მგონი) ბუნებით კონსერვატორი არ გახლავართ, მაგრამ როცა სადმე „მიწისქვეშეთში" (ხვდებით, ხომ? - რედ.), ასეთ წარწერებს ვხედავ – „ჯორჯიან ქარდი თქვენი ქონების საიმედო დამცველია" – და იქვე ვინმე მოკომპიუტერესაგან მესმის – „კომპიუტერული კარტოთეკა შევქმენიო" – მიკვირს, თუ რატომაა ერთ შემთხვევაში „ქარდ" (ჯორჯიანთან) და მეორე შემთხვევაში „კარტო" (თეკასთან)?!

• • •

...და თუ, ელიზა დულიტლისა არ იყოს, ასე განვაგრძეთ „ყვაილების" ბიზნესი ჩვენი ენის „ევროპეიზაციის" ხარჯზე, (ისევ) ღმერთმანი, მალე ასე ვიმეტყველებთ – მე ჩა-ლავ(**love**)-ებული ვარ ჯორჯიან ლენგვიჯში (**language** – ენა)-ო.

ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან!

**P.S.** სხვათა შორის, ჩვენმა წინაპრებმა სპარსელებისაგან სიტყვა „ანუ" რომ შეითვისეს, სულაც არ გაუთვალისწინებიათ ის, რომ სპარსულად ეს სიტყვა წარმოითქმის, როგორც „იანი".

**ალ.ელერდაშვილი**



# ბილ გეიტსი იდუმალი გენიოსი

## Microsoft

***ბილ გეიტსი -- „მაიკროსოფტის“ იმპერიის შემქმნელი – დღეს მსოფლიოში ყველაზე მდიდარ და ყველაზე იდუმალებით მოცულ პიროვნებად ითვლება.***

### პირადი ცხოვრება

მითქმო-მოთქმას თუ დავუჯერებთ, ეს კაცი მართლაც უცნაური პიროვნება გახლავთ. თუნდაც ასეთი ფაქტი რად ღირს, რომ საქორწინო მოგზაურობაში მან თავისი რამოდენიმე უერთგულესი თანამოსაქმე (კომპანიონი, ბატონო! - რედ.) და მეგობარი მიიწვია და მთელი თაფლობის თვე ღრმადმეცნიერულ საუბრებში გაატარა (?!).

სხვათა შორის წვეულთა შორის იყო ენ უინბლადიც, გეიტსის „თითქმის ინტიმური“ მეგობარი, რომელიც სამი წლის განმავლობაში ცდილობდა ბილის „ხელთგდებას“, მაგრამ ვერ შეძლო ეს, თუმცა მას ახლაც ხვდება ხოლმე... გეიტსის ახლადშერთული მეუღლის ნებართვით. ბილი წელიწადში ერთხელ ჩადის თავის ყოფილ სატრფოსთან ჩრდ.კაროლინაში და იქ ენის მყუდრო კოტეჯში იმართება ხანგრძლივი საუბრება, ოღონდ არა სიყვარულზე, არამედ ისევ და ისევ ფიზიკაზე, კომპიუტერებზე, გენეტიკაზე. ენი თავადაც კომპიუტერული ინჟინერია და გეიტსის გაცნობამდე რამდენიმე წლით ადრე საკუთარი შრომით მოიხვეჭა მილიონად შეფასებული ქონება. მათ ერთმანეთი 1984 წელს, სამეცნიერო კონფერენციაზე გაიცნეს და თავიდანვე სიმპათიით განეწყვნენ ურთიერთისადმი.

...თუმცა, ალბათ, გეიტსის უცნაური ხასითისა გამო, თანამზრახველებმა ქორწინებაზე უარი თქვეს და მხოლოდ მეგობრებად დარჩნენ. ენმა კი თავისი საქციელით დაამტკიცა, რომ ნამდვილად შეუძლია მეგობრობა და მაშინაც კი, როცა ბილმა თავისი ფირმის თანამშრომელზე, მელინდა ფრენჩზე ქორწინება გადაწყვიტა, ბილმა სწორედ ენს სთხოვა რჩევა და „ნებართვაც“ მიიღო საამისოდ. აი, ასე შეირთო 1993 წელს 38 წლის ბილმა ხსენებული მელინდა ფრენჩი და თავიდანვე შეეცადა ეს ქორწინება პრესის ჭორების თემად არ ექცია, საამისოდ კი მან ხელწერილი ჩამოართვა ყველას, ვინც კი რაიმე დეტალი იცოდა მისი პირადი ცხოვრების შესახებ, რომ არავითარ ინფორმაციას არ გაავრცელებდა გეიტსის ნებართვის გარეშე. ამიტომაცაა, რომ მისი მეგობრები, ნათესავები, მეზობლები თუ მუშები, რომლებიც, აგერ უკვე ხუთი წელიწადია, მისთვის სახლს აშენებენ, კრინტსაც არ ძრავენ, თავად მელინდა კი არასოდეს არ აძლევს ინტერვიუს პრესას.

მათი ქორწინების შესახებ ცნობილია მხოლოდ ის, რომ ეს რიტუალი ჩატარდა ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე განლაგებულ გოლფის მოედანზე, რომ მას 150 კაცი ესწრებოდა და რომ თითოეულ მათგანს ჩამოერთვა წერილობითი თანხმობა საიდუმლოს შენახვის თაობაზე იმისათვის, რომ ვინმე გარეშე თვალს რაიმე არ დაენახა, გეიტსმა იმ კუნძულზე არსებული ყველა სასტუმროს ნომრები და გასაქირავებელი მანქანები შეისყიდა; პრესა, რა თქმა უნდა, იქ არ დაუშვეს, ხოლო ერთი ზედმეტად აბეზარი რეპორტიორი, რომელიც ქორწინების რიტუალზე დასწრებას ცდილობდა, დაუყოვნებლივ დააპატიმრეს.

## კომპიუტერული იმპერატორი



### ბავშვობა

მისი წარსულის შესახებაც საკმაოდ მწირი ინფორმაცია მოიპოვება. მშობლების თქმით, ბილი უცნაური ბავშვი იყო; ერთხელ მათ მეექვსეკლასელი შვილისათვის ფსიქიატრის მოყვანაც კი დააპირეს, რადგან...

ერთხელ მშობლებს მორიგი დაქინებული ძახილისა და მუქარის სეანსის ჩატარება რომ მოუხდათ, რათა ბილი სადილად გამოსულიყო, დედამ შეიცხადა:

– მაინც რას აკეთებ მაგ ჩაკეტილ ოთახში?

– ვფიქრობ – მოისმა პასუხი, რასაც საკმაოდ უდიერი წინადადება დაერთო – ვფიქრობ და თქვენც გირჩევდით, რომ ოდესმე გეცადათ ეს!

მეცხრე კლასამდე ბილი საერთოდ არ ეკარებოდა სასკოლო სახელმძღვანელოებს, აცდენდა გაკვეთილებს და ძალზედ დაბალ ნიშნებს იმსახურებდა. და აი, ერთ მშვენიერ დღეს განაცხადა, რომ ფრიადოსანი გახდებოდა, წლის ბოლოს სტანდარტული ტესტი ჩააბარა და მოსწრების მხრივ აშშ-ს საუკეთესო მოსწავლეთა ათეულში შევიდა. ბილის „ფრიადოსნობის“ საიდუმლო აქაც გენიალურად მარტივი აღმოჩნდა – მას თურმე დიდი ხნით ადრე დამოუკიდებლად ჰქონდა შესწავლილი მთელი სასკოლო პროგრამა და ბევრად უსწრებდა წინ თავის თანატოლებს. ერთის სიტყვით, ეს იყო გენიალური ბავშვისათვის დამახასიათებელი ტიპიური ბავშვობა.

### სტუდენტობა

ბილის სტუდენტობის წლები კი საკმაოდ დახუნძლული იყო „რომანტიული“ ეპიზოდებით და მის მტრებს ბევრი რამ ექნებოდათ „თითზე დასახვევი“, რომ არა ბილის წინდახედულება – მან თავიდანვე იზრუნა, რომ არანაირი „აკრძალული“ ინფორმაცია არ გავრცელებულიყო მისი ცხოვრების სტილის შესახებ. ზოგადად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ჰარვარდში სწავლისას იგი ჩვეულებრივი, ჯანმრთელი ყმაწვილის ცხოვრებით ცხოვრობდა, არც პოკერის თამაშს იკლებდა, არც თავშეყრებს აცდენდა და არც გოგნებთან არშიყობას ერიდებოდა, თუმცა ასეთი ცხოვრება მას სულაც არ უშლიდა ხელს იმაში, რომ ლექციებს დასწრებოდა და ლექტორებთან მწვავე დისკუსიები გაემართა რთულ მათემატიკურ პრობლემებზე.

### სიმნიფე

სხვათა შორის უნივერსიტეტი მან არ დაამთავრა. 1975 წელს მისმა მეგობარმა პოლ ალენმა მას წააკითხა სტატია „პოპულარული ელექტრონიკის“ შესახებ, სადაც საუბარი იყო უკანასკნელ მიღწევებზე კომპიუტერული ტექნიკის სფეროში და გეიტსმა გადაწყვიტა, რომ დროა, საქმისთვის მოეკიდა ხელი. ბილმა უნივერსიტეტი მიატოვა, პოლმა თავისი ფირმა და იმ კაპიტალით რაც პირველმა პოკერის თამაშით დააგროვა, ხოლო მეორემ ფირმაში მიღებული ხელფასით, მათ დაარსეს „მაიკროსოფტი“. 1981 წელს მათ **IBM**-ის შეკვეთა შეასრულეს, აიღეს საავტორო უფლება საოპერაციო სისტემის შექმნაზე და ასე დაიწყო თავბრუდამხვევი კარიერა.

ბილ გეიტსმა მას შემდეგ მიზნად ერთი რამ დაისახა – მას სურს ფირმა „მაიკროსოფტის“ საშუალებით მთელი პლანეტის კომპიუტერიზაცია და ყველა კონკურენტის მოსპობა ამ სფეროში. ამ მიზნის განხორციელებაში მას პრაქტიკულად არაფერმა შეუშალა ხელი; მის მოშურნეები მაშინაც კი შეცდნენ, როცა იმედოვნებდნენ, რომ ენ უინბლადთან გაბმული რომანი, ხოლო შემდეგ ქორწინების გაჭიანურებული პროცესი მის ენერგიას ამოწურავდა ან თუნდაც დროებით შეაფერხებდა მის წინსვლას და ამით მათ, კონკურენტებს, ამოსუნთქვის საშუალება მიეცემოდათ.

მაგრამ არც სამეუღლეო მოვალეობათა აღსრულებამ და არც ქალიშვილის დაბადებამ არანაირი „ტაიმაუტი“ არ გამოიწვია; გეიტსი შეიცვალა მხოლოდ იმ მხრივ, რომ მეუღლე ახლა მას აიძულებს, რომ რომელიმე მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ჯერ საკუთარი თავი მოიყვანოს წესრიგში და მერე გაიქცეს სადმე თათბირზე ან სამეცნიერო შეხვედრაზე. მისი ფირმის თანამშრომლებმა ისიც შენიშნეს, რომ მათი ხელმძღვანელი ბოლო დროს უფრო ელეგანტურად იცვამს.

დღეს „მაიკროსოფტის“ ხელმძღვანელი მთელი მსოფლიოს პერსონალური კომპიუტერების 94%-ს აკონტროლებს. ახლო მომავალში იგი აპირებს, რომ ხელთ იგდოს მთელი ინტერნეტი. გეიტსის კომპანია 288 თანამგზავრის გაშვებას აპირებს კოსმოსში, რომლებიც იმუშავებენ, როგორც რეტრანსლატორები და ჩვენი პლანეტის ყველაზე მიკარგულ რეგიონებსაც კი სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფენ, რაც ინტერნეტში გაერთიანების აუცილებელი პირობაა.

ბილ გეიტსი ოჯახთან ერთად კვლავაც თავის მშობლიურ სიეტლში ცხოვრებს, არც რესტორნებს აკლდება და არც კინო-თეატრალურ სანახაობებს, თუმცა ამბობენ, რომ სახლიდან გამოსვლისას მისი მეუღლე საქორწინო ბეჭედს თითზე იტრიალებს, რათა არავინ დაინახოს, თუ რა ზომისაა მასში ჩასმული ბრილიანტი.

**Всемирные новости**

# მზე შინა და მზე გარეთა






**ჩვენი**
**ოფიციალური განცხადება**

*ვაცხადებთ კონკურსს საუკეთესო ილუსტრირებული სუპერკროსვორდის შედგენაზე! ანაზღაურება იქნება კროსვორდის სირთულისა და გამომსახველობის შესაბამისი*



# ისტორიის შავ-თეთრი უჯრები

## მეორე ნაწილი — დიდ რელიგიათა და დაპყრობათა ეპოქა




**თარაზულად**: 10. **(იხილეთ ილუსტრაცია)** ეს გახლავთ იზაბელა კასტილიელი, რომელმაც 170 000 იუდეველი გაწყვიტა... რა „შთააგონებდა“ მას ამ ქმედებისაკენ? 11. ტომები, რომლებმაც ბიზანტიის იმპერია დაიპყრეს. 12. **(იხილეთ ილუსტრაცია)** ეს ქალი (ვინმე) აკვიტანელი (1122-1204) გახლავთ, ერთობ აგრესიული კათოლიკე... რა ერქვა მას? 13. სამხრ. საქართველოს ერთი ნაწილის სპარსულდაბოლოებიანი სახელი. 14. ვინ იყო თითოეული დამპყრობი დაპყრობილთა თვალში? 16. შუა სს. ევროპაში დიდგვაროვანი პირის ზოგადი სახელი. 17. **(იხილეთ ილუსტრაცია)** ამ ქალს საფრანგეთში ბავშვიც კი იცნობს; რა ჰქვია მას? 18. უძველესი ქალაქი მახლობელ აღმოსავლეთში. 20. საფრანგეთის ზოგიერთი მეფის სახელი. 22. რა არის ეს წყვილი: ავე-ევა? 24. უძველესი ციხე-ქალაქი მცირე აზიაში, სადაც ქრისტეს საფლავის მაძიებლები მუსლიმანებს შეებრძოლნენ. 27. **(იხილეთ ილუსტრაცია)** რა ჰქვია ამ კაცს, „რომის საღვთო იმპერიის“ ერთობ რელიგიურ იმპერატორს (936-973)? 28. „რომის საღვთო იმპერიის“ იმპერატორი 1493-1519 წწ. 30. ძველი ფრანგული წვრილი ფული. 32. წყალზე გადებული ხიდი. 34. ზღვარის სახესხვაობა. 36. მემკვიდრეობის შემნარჩუნებელი. 37. „მრგვალი მაგიდის რაინდების“ ლიდერი (მე-5-6 სს.) 38. მუსლიმანურ თეოკრატიულ სახელმწიფოთა საერთო სახელი. 40. რა ერქვა შუა სს. რუსული ბილინების მთავარ გმირს? 41. თუ ლათინური მეცნიერების ენა იყო, ხოლო ფრანგული - პოეზიისა, როგორი ენა იყო ანგლო-საქსონური შუა სს. დას. ევროპაში? 43. იეზუიტთა ორდენის დამაარსებელი (1491-1556 წწ.) 46. მე-10 საუკუნეში გაღედაქალაქებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ევროპული ცენტრი. 47. ძველფრანგული მანძილის საზომი. 48. შურისძიების ქალღმერთი, რომელიც შუა სს. რაინდებსაც „შთააგონებდა“. 50. ევროპელ რაინდთა XX ს. შთამომავლის მიერ განხორციელებული ანტიადამიანური პოლიტიკა. 51. შურის და ღვარძლის პირველი მსხვერპლი ჩვენს პლანეტაზე. 52. რა აქვთ საერთო „არმსტრონგებს“, „დოლგორუკებს“ და ჩვენს ისტორიულ ძმებს, ზაქარიას და ივანეს?




**შვეულად**: 1. რა აღარ შეიძლება გააჩნდეს თუნდაც ბიზანტიის იმპერიას? 2. რელიგიური დამოუკიდებლობა. 3. ტბა იტალიის ალპებში. 4. როგორი აღმოჩნდა მრავალი თეოლოგიური პოსტულატი? 5. **(იხილეთ ილუსტრაცია)** ადრეული შუა საუკუნეების ყველაზე მრისხანე მეფე და პაპი (ორი სიტყვა). 6. **(იხილეთ ილუსტრაცია)** რა იყო ამ კაცის „ჰობი“ მთელი ცხოვრების მანძილზე? 7. ვინ-ებ-ი იყვნენ რელიგიურ იდეათა გამავრცელებელნი? 8. სინათლესთან და სამეფო კართან დაკავშირებული საერთო ცნება. 9. მუსლიმანური რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე მრისხანე ავსული. 15. (შუა სს.-დან მოყოლებული) ერთობ პრესტიჟული ყვავილი. 19. რა არის გამოძახლი? 21. რა მოჰყვა ჩვენს მიერ ამჯერად შერჩეულ ეპოქას? 23. როგორი ეპოქა უძღვოდა წინ ჩვენს მიერ ამჯერად შერჩეულ ხანას? 25. ქალი, რომელმაც კარლს კლარნეტი მოპარა. 26. ვაგნერის ოპერა. 29. **(იხილეთ ილუსტრაცია)** ეს ჩინგიზ-ხანი გახლავთ! ვინ(-ებ-ი) აიყოლია თავის დაპყრობით ომებში მან? 31. შუა საუკუნეების „რაინდებისათვის“ საოცნებოდ დასაპყრობი ქალაქი. 33. სახელმწიფოს შემადგენლობაში ფედერაციული წარმონაქმნების არმქონეობა (-იზმი). 35. როგორი ლაშქრობები მოეწყო ჩვენს მიერ შერჩეულ ეპოქაში. 39. აღნიშნულ ეპოქაში წარმოქმნილი ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია. 42. რა მოიხვეჭეს შუა სს. „რაინდებმა“ აღმოსავლეთში ლაშქრობებით, გარდა „დიდებისა“? 44. ვინ იყო რიჩარდ ლომგული თავისი თანამებრძოლებისათვის? 45. აღნიშნულ ეპოქაში ევროპაში შე(მო)ტანილი სასმელი. 49. რა ჰქონდათ დაფარული ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ „რაინდებს“.

**ჩვენს მუდმივ და ერთგულ მკითხველს ვთხოვთ გამოეხმაურონ; ჩვენთვის ძალზედ ბევრს ნიშნავს თქვენი აზრი „ფანტაზიის“ შესახებ!**




**თარაზულად:** **8**. თოჯინა, რომელიც მშვენიერ მალვინას სულაც არ ეტრფოდა. **9**. XX ს ავსტრიელი პოეტი. **10**. ღვთაებრივი ედვარდ გრიგის სამშობლო. **11**. **იხილეთ ფოტო** და დაფიქრდით – რა ეპითეტით შეიძლება მივმართოთ ასეთ ქალს? **12**. მთიელ მოცეკვავეთა შეძახილი. **13**. **იხილეთ ფოტო** და დაფიქრდით – რა სჭირდება ასეთი ქალის „გამოჭერას“? **14**. ყველაზე ცნობილი ბეტმენი ყველა ბეტმენს შორის. **16**. სამხედრო წოდება. **19**. გაიხსენეთ როგორი გზა იყო ფოთოლასა და ყარამანის სიყვარულის მომსწრე. **22**. XX ს. ქართველი მწერალი. **25**. გაიხსენეთ – ვინ იღიმება კონსტანტინე გამსახურდიას ერთ რომანში. **26**. ერთეული, რომელიც ქალის ფიგურის მთავარი მტერია. **28**. ყველაზე ქართულსახელიანი ესპანელი მხატვარი. **29**: მეზღვაური ბიჭუნა. **30**. ძველებური მუსიკალური საკრავი. **31**. როდის დგება მწევრებსგაქცეული კურდღელი? **32**. რა მოსდევს ნერვების გაღიზიანებას? **34**. სახელი, რომელიც ჩვენში ქალსაც ჰქვია და კაცსაც. **35**. ქალ-ვაჟის ურთიერთობის წარმმართველი ცნება. **37**. უიღბლო სიყვარულის ნაყოფი. **39**. ფრინველი, რომელსაც აფხორილი შეყვარებული ემსგავსება. **40**. XVII-XVIII ს. გერმანელი კომპოზიტორი. **41**. სახელმწიფო ევროპაში. **43**. თანხმოვნის სახესხვაობა. **45**. როგორი ძიები არ უყვართ ბავშვებს? **49**. ხელსაწყოთა ერთობლიობა. **50**. გრაფიკული ნიშანი. **51**. ქართული ანბანიდან განდევნილი ასო. **52**. **იხილეთ ფოტო** და დაფიქრდით – წელიწადის რომელი დრო შეიძლება გაგახსენოთ ასეთმა ქალმა? **55**. რა ეპითეტი მოეძებნება კიდევ მწვალებელს? **56**. წოდებითი ბრუნვა ერთი გურული მწერლის სახელისა. **57**. იხილეთ ფოტო და დაფიქრდით – რა შეიძლება ახასიათებდეს ასეთ ქალს ფრიდრიხ შილერის თანახმად?

**შვეულად:** **1**. გი დე მოპასანის რომანი. **2**. ჩრდ. ევროპის ყვავილებით მდიდარი რეგიონის ისტორიული სახელი. **3**. სოფიკო ჭიაურელის კინოპერსონაჟი ერთ სომხურ ფილმში. **4**. 50-60-იანი წწ. ქალების სათაყვანებელი ერთი კინომსახიობის სახელი. **5**. რა შეიძლება უქნას საკუთარ „როჟას“ ზოგჯერ ამპარტავანმა ქალმა (ჟარგ.) **6**. კლეოპატრას ერთ-ერთი სატრფო. **7**. მსოფლიოს ყველა დროის უდიდესი შვედი ჩოგბურთელი (სახელი და გვარი). **15**. ჯგუფის მეწინავე. **17**. რა შეიძლება გააჩნდეს მხატვრულ ნაწარმოებს? **18**. ლონდონელ შეყვარებულთა ხშირი „ანტურაჟი“. **20**. რა შეიძლება გაჩნდეს გულებს შორის? **21**. რა მართებს ზოგჯერ ქალს (სამწუხაროდ!) ვაჟკაცის მიმართ... ვაჟას თანახმად? **23**. ყველაზე ლამაზი შერეკილი. **24**. საფრანგეთის მეფეთა დინასტია. **25**. რა გვარისაა ქალი, რომელმაც ერთხელ ჩვენს ეზოზე გადიარა? **27**. როგორი ცხოვრება შეიძლება ჰქონდეს ცალმხრივად შეყვარებულს? **33**. როგორი ქალია სასიყვარულოდ ძნელად „მოსათვინიერებელი“ (ბოდიშს ვიხდით ამ გამოთქმისათვის)? **34**. ქართული ბალეტი. **36**. უმარტივესი არსება (ნეტავი იმას!). **37**. ქართული მულტიპლიკაციის ერთი მიჯნური. **38**. თანამედროვე როკ (თუ პოპ?) ვარსკვლავი. **41**. (ვაი, რომ) ყველა შეყვარებულის (...და ყველასიც!) უკანასკნელი „სავანე“. **42**. სამგზავრო დანიშნულების შეკვრა. **44**. გოლზუორთის ერთი რომანის პერსონაჟთა გვარი. **46**. რა ჰქვია რუსულად თარ. №22-ის რომანის მიხედვით გადაღებულ ფილმს? **47**. თბილისის ერთი უბნის „არალეგალური“ სახელი. **48**. სცენის მიღმიერი სივრცე. **52**. წარსულში პოპულარული აზერბაიჯანული ვოკ.-ინსტრ. ანსამბლი. **53**. ბიჭი, რომელმაც (ერთ საბავშვო ლექსში) ტელეფონის გაკეთება დააპირა. **54**. წყალხმელეთა ფრინველი.

# გაზაფხულდა, აყვავილდა ნუში




## გასული ნომრის პასუხები

*პირველი გვერდი*



*ისტორიული კროსვორდი*



*ალსადგენი კროსვორდი*



*მხოლოდ თანხმოვნები*



## კროს-ჩემპიონატი

*შეგიძლიათ კონკურსგარეშე კროს-ჩემპიონატში ჩაერთოთ ნებისმიერი ტურიდან*

### მეხუთე ტურის პასუხები



### ოთხი ტურის შემდეგ

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | ძ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გაბრიელიძე იური | 100 | - | 100 | 100 | 100 |
| 2 | ხარიტაშვილი მარინე | 100 | - | 99 | 100 | 99,66 |
| 3 | კუპრაძე ლიანა | 100 | 98 | 100 | 100 | 99,5 |
| 4 | სესიტაშვილი ზურა | - | 98 | 100 | 100 | 99,33 |
| 7 | საზანდრიშვილი ნათია | - | - | 98 | 100 | 99 |
| 5 | მეგია მაია | 99 | 98 | 98 | 100 | 98,75 |
| 6 | ჩარჩახიძე ქეთევანი | 98 | 98 | 98 | 100 | 98,5 |
| 8 | კვირიკაშვილი მერაბი | - | 97 | - | 100 | 98,5 |
| 9 | ზადიშვილი ანი | - | - | 97 | - | 97 |
| 10 | ბუჟღულაშვილი მანანა | 95 | 98 | 97 | - | 96,6 |
| 11 | ჯლამაძე ნუნუკა | - | - | 96 | 97 | 96,5 |
| 12 | დანელია ლევანი | - | - | 96 | 97 | 96,5 |
| 13 | მაისურაძე მანანა | 97 | 93 | 98 | 98 | 96,5 |
| 16 | ჯახველაძე ლია | 95 | 94 | 97 | 98 | 96 |
| 15 | ბურმენიძე მიხაილი | - | 94 | 96 | 95 | 95 |
| 15 | კვირიკაშვილი დავით | 96 | 94 | 94 | - | 94,6 |
| 17 | ჩხეიძე ივანე | 94 | - | - | 95 | 94,5 |
| 18 | ქაქაბია ივანე | - | 94 | 91 | 94 | 93 |
| 19 | ცომაია გოგი | - | 94 | 88 | 90 | 90,66 |

**შემდეგი ტურიდან დაიწყება საპრემიო კროსვორდების გამოქვეყნება**






## მესამე საკროსვორდო ჩემპიონატი – მე-6 ტური – პრიზი 100 ლარი



**შვეულად:** 1. თანამოსაქმეთა ურთიერთობის სახესხვაობა. 2. საგაზაფხულო დელიკატესი (შეძლებულ) ქართველთათვის. 3. „ტრაგედიის მამა“? 4. ჩასვით გამოტოვებული სიტყვა – „შეითან ბაზარს რომ გასცდება თათრის.....(რა?)“ 5. ინგლისელთათვის საამაყო ნელსონის ტიტული. 6. ერთ-ერთი კროსვორდის „სამშობლო“. 7. იხილეთ ილუსტრაცია (მეზობელ გვერდზე)... კარნახით – ამ „მანქანას“ ფრანგები გალიზიანებით რაღაცას უწოდებდნენ, რაც ჩვენც გვსმენია... მაინც რა? 8. მხატვრის ერთ-ერთი ამპლუა. 9. ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი „ყუთი“. 10. ქსოვის სახესხვაობა. 14. საბიზნესო ურთიერთობის თავშიქუდისსაქონი ცნება. 15. (იმავე) საბიზნესო ცხოვრების „დაბალი ჩინი“. 23. რა მოჰყვა „პიკის ქალს“? 26. არაბული წარმოშობის სურნელოვანი ნივთიერება. 27. ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, სადაც ვერიკომ მიიღო მონაწილეობა. 29. იტალიელი პოეტი, ნობელის პრემიის ლაურეატი. 31. მამასახლისის კოლეგა ძველ საქართველოში. 32. თუ იცით (ლიტ.) ლამე გუძაკი ვინ არის, მისი მეგობარიც გეცოდინებათ. 35. პატარა, ასე ვთქვათ, „სეიფი“ ძველ საქართველოში. 37. სხეულის შემადგენელი ნაწილი. 39. ჯერ თარ.№90 გამოიცანით და მერე აქ ჩასაწერ მის ქალაქსაც (იმედია!) გაიხსენებთ! 40. მეცნიერება, რომელსაც ციცერონი დიდებულად ფლობდა, თუმცა მისი არსებობის შესახებ არაფერი იცოდა. 41. ობობა, რომელსაც სხვა ობობური სახელი ჰქვია. 42. სოფელი გურჯაანის რაიონში. 46. „თხის რქა“ ფრანგ რესპუბლიკელთა კალენდარში. 48. აფრიკის სახელმწიფოს (ახლანდელი) დედაქალაქი. 49. მხატვრის (კიდევ ერთი) ამპლუა. 54. რა აქვთ საერთო ფლორას და სიგარეტის წარმოებას? 57. კინოში ერთი-ოცდამეოთხედი, ტელევიზიაში ერთი-ოცდამეხუთედი. 61. ასე ვთქვათ, „გულის ხელით ჭერის“ ვარიანტი... მედიცინის ენაზე. 62. (სუპერრთული კითხვა) თანამედროვე ქართული გაზეთი. 63. რობერტ სტივენსონის „განძთა კუნძულის“ პერსონაჟი. 64. ყველა ეპოქის უდიდესი მოქანდაკე (ჩემის აზრით). 66. თურქეთის პოლიტიკური ლიდერი ახლო წარსულში. 67. საკვამურის სახესხვაობა. 69. სპეციფიურად იტალიური სახელი მამაკაცისა. 71. ორი ჩხეიძის მიერ „ათვისებული“ (სასაზღვრო ზოლში) მდებარე ველი. 73. ორმოცდაათიანი წწ. ინგლისური ფეხბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი. 76. იხილეთ ილუსტრაცია (მეზობელ გვერდზე)... კარნახით – ინგლისის ქალაქი, სადაც ამ „მანქანამ“ აიღო სტარტი, რითაც რკინიგზის ეპოქა დაიწყო. 78. კარგი განწყობის „დამხმარე საშუალება“. 80. (უკიდურეს) დასავლელქართველთა დელიკატესი. 81. რა შეიძლება ეწოდოს ამ ჩემპიონატის წარმმართველს... ახლანდებურად? 83. კინომოღვაწეთა საოცნებო ჯილდო. 84. ცნობილი კათალიკოსი ჩვენი ისტორიიდან. 85. შესანილბავი საშუალება. 87. ადამიანის თანამდევი ველი. 88. რა სჭირდება ბირთვს? 89. როგორი იყო ერთ დროს კინო? 91. რა არ უნდა ახსენო ჩამომხრჩვალის ოჯახში?

**თარაზულად:** 11. ვოკალური ნაწარმოების სახესხვაობა. 12. რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებული 1-ლი ს. ბრიტანელი დედოფალი-მეომარი 13. რა ახასიათებს გაუბედავ ადამიანს? 16. ფიზიკის ერთ-ერთი დარგი. 17. საათების მწარმოებელი ფირმა. 18. პერსონაჟი პიესისა „ყვარყვარე თუთაბერი“. 19. სოფი ლორენის ცნობილი კინოპერსონაჟის სახელი. 20. სითხის კონფიგურაციული სახესხვაობა. 21. ქრისტიანთა მცდელობა ყველა ეკლესიის გასაერთიანებლად. 22. რიაზანოვის ერთი ფილმის მთ.პერსონაჟის მუსიკალური ამპლუა. 24. ადამიანის მორალური შევიწროების ერთ-ერთი მიზეზი. 25. წყალსატევი იტალიის ალპებში. 28. ქართველი მოქანდაკე ქალი. 30. შესაძლებლობათა ერთ-ერთი „პოლუსი“. 33. რა აქვს ქალს მიხ. ჯავახიშვილის ერთ ეკრანიზირებულ ნაწარმოებში? 34. თანამედროვე არარუსული წარმოშობის (რუსი) კინორეჟისორი. 36. მშობლობის განცდას მოკლებული პირუტყვი. 38. ძველი ქართული ქალაქი შავიზღვისპირეთში. 43. ვაჟას ერთი პოემის მთ.პერსონაჟის გვარი. 44. გვარი, რომელსაც ქართული კულტურის საგანძურის გადარჩენა უკავშირდება. 45. სპარსელი პოეტი, ავტორი სტრიქონებისა – „გული ლექსია, ლექსი გულის წყაროს წყალია და ეს სიმღერაც ამღვრეული გულის ბრალია...“ (თარგმ. ვ. კოტეტიშვილასა). 47. ურმის ნაწილი. 48. ჰოლივუდელთა ჩოგბურთელი სიძე. 49. ჩოგბურთის ერთ-ერთი „დედოფალი“. 50. თანამედროვე რუსი მწერალი-სატირიკოსი. 51. „შრომისმოყვარე ვიწროთვალებიანთა“ სამოსახლო კუნძული. 52. ქართველ მექოთნეთა სოფელი. 53. საქართველოს პოპულარული კურორტი. 55. როგორი შეიძლება იყოს „რქა“ უკრაინაში (რუს.კავშ.). 56. პეტრე ბაგრატიონის ერთ-ერთი კოლეგა-კონკურენტის სახელი. 58. რომელი „მოკლე“ არ იცოდა პიპინიას გაზრდილმა ზაურიმ? 59. ძველთბილისური „მოფერებითი“ სახელი სასროლი იარაღისა. 60. რა ხანგრძლივობით აკავშირებდა ილია საკუთარ თავს საქართველოსთან? 65. თამაზ მელივას ერთ-ერთი პირველი ფილმი. 68. ცივ-გომბორის მთათა სისტემის მწვერვალი. 70. ქრისტიან ბერთა საცხოვრებელი. 72. აქადეველთა მითოლოგიის ნაყოფიერების ქალღმერთი. 74. წაღმა-უკუღმა საკითხავი სიტყვა. 75. ერთ-ერთი შემქმნელი „სინათლის ტალღური თეორიისა“... ინგლისიდან. 76. ქმარნაღალატები ერთ-ერთი ევროპელი პრინცესა. 77. უშვერი ხუმრობის მოყვარული ძველ საქართველოში. 79. ქალური წყევლის ერთ-ერთი ელექტრო„იარაღი“. 81. (ვთქვათ) ივანე ჯავახიშვილის შთამაგონებელი ბერძნული მუზა. 82. ქართული ესტრადის მომღერალი (სახელი და გვარი). 86. ბატონი დოდო აბაშიძის ერთი კინოპერსონაჟის გვარი. 88. ასე ვთქვათ, ნატურალური რეზინი (...და ხელოვნურიც). 90. ერთ დროს ჩვენი მოძმე ქვეყანა, რომლის დედაქალაქს ჩვენს ენაზე „ორშაბათი“ ჰქვია. 92. უკრაინული ლიტერატურის კლა- სიკოსი. 93. ერთობ ხევსურული ვარიანტი ერთობ ქართული სამეფო სახელისა. 94. როგორ დაუძახებს ფრანგი თავის დედიკოს? 95. ფიზიკის ანტონიმი ერთ (არცთუ) ფრთიან გამოთქმაში.

**სახელი, გვარი** ____________________

*გთხოვთ, პასუხები მოგვაწოდოთ ამა წლის 22 მარტამდე*



## თარაზულად:

**7.** ქართველი მომღერალი და საგუნდო დირიჟორი, ქართული სამუსიკო სკოლის დამაარსებელი. **8.** მოკლე ისრების სატყორცნი მშვილდისმაგვარი იარაღი. **10.** გეოგრაფიული გარსის ტერიტორიული დაყოფის ძირითადი ერთეული. **11.** ისტორიული ძეგლი კახეთში. **12.** ნაცარტუტში გამოხარშული სოკო. **13.** სოფელი მესტიის რაიონში. **14.** საგაზეთო პუბლიკაცია. **17.** მოწნული გუდურა ყურძნის საკრეფად. **19.** კოშკის საათი, რომელიც დროგამოშვებით რეკავს. **20.** შესაპყრობი საშუალება. **21.** ქვანახშირით მდიდარი აუზი გერმანიაში. **23.** ცნობილი საოპერო თეატრი იტალიაში (ტირეს გარეშე – რედ.) **26.** სახარებისეული ავაზაკი. **28.** ცის ეკვატორთან მდებარე თანავარსკვლავედი. **30.** ქვანახშირის მშრალი გამოხდით მიღებული ფისი. **32.** წნელის ბრტყელი წნული. **33.** სახელმწიფო აფრიკაში. **34.** ხმის გამომცემი თავისუფლად რხევადი ლითონი. **35.** რკინაბეტონის ნაგებობათა რკინის ჩონჩხი. **36.** გრამოფონის ელექტრომაგნიტური მოწყობილობა.

## შვეულად:

**1.** კუჭის დაავადება. **2.** საგნის აზრობრივი დაშლა მისი შესწავლის მიზნით. **3.** სამხედრო სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. **4.** გერმანელი მოქანდაკე, ავტორი ბარელიეფისა „გზა გოლგოთაზე". **5.** იტალიური კინოს ლეგენდა. **6.** ფრანგი მწერალი–კლასიკოსი , ავტორი „ნაპოლეონის ცხოვრებისა". **9.** ყოველგვარ იდუმალებას მოკლებული, ანუ როგორი? **15.** მთავარი მაგისტრალი. **16.** მაუგლის გამზრდელი. **17.** მევალისათვის კარგად ცნობილი ნივთი. **18.** სამი წლის ასაკის ცხენების საიპოდრომო გამოცდა. **22.** ვაზით გადახურული საჩრდილობელი. **24.** ამერიკელი ფიზიკოსი-თეორეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი. **25.** უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი. **27.** წინაალმდეგობის ერთ-ერთი სახეობა. **29.** სკულპტურული გამოსახულების სახესხვაობა. **30.** ფრენის სახეობა. **31.** ევროპული ფოლკლორის გამიჯნურებული ქალი.

*კროსვორდი შეადგინა მიხეილ კვეზერელმა*

**დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ მოგვაწოდონ შემეცნებით-პოპულარული ხასიათის მასალები.**

# დიალოგი სომხეთის რადიოსთან

- რა მოხდება, თუ ტარაკანებს ციცინათელებთან შევაჯვარებთ?
- ეს იქნება ამიერკავკასიის და მისი შემოგარენის მასობრივი ელექტროფიცირება.

* * *

-როგორ მოვსპოთ ბინაში ტარაკნები?
- ისინი უნდა შეყაროთ გარდერობის ქვეშ და გარდერობს ერთდროულად მოაჭრათ ოთხივე ფეხი.

* * *

- რა განსხვავებაა სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის?
- სოციალიზმის დროს შტატები გაბერილია, კაპიტალიზმის დროს კი — შეერთებული.

# ქალური ლოგიკის წიაღში



ცოლი სხვა ქალაქიდან ურეკავს ქმარს:
– მერე, მერე... ჩვენი კატა როგორაა?
– მოკვდა - პასუხობს ქმარი..
– ტი-ტუ! ეს რა მითხარი?!
(პაუზა)
– რა მოხდა, ქალო?!
– ცოტა რბილად ვერ შემომაპარე?! გეთქვა - სახურავზე იჯდა-თქვა... მერე მეტყოდი – ჩამოცურდა-თქვა... ჩამოვარდა-თქვა... და მოკვდა-თქვა... გაიგე?
– გავიგე!
– ჰო, კარგი, დედაჩემი როგორაა?
- სახურავზე ზის.

არქეოლოგებმა უძველესი მონასტრის გათხრების დროს ქალთა და მამაკაცთა მონასტრებს შორის ორი კილომეტრის სიგრძის გვირაბი აღმოაჩინეს.... შემდგომმა მეცნიერულმა
კვლევამ დაადასტურა, რომ 1კმ და 800 მ ქალების მიერ იყო გათხრილი.

# ბულვარულ-შემეცნებითი ნოველა





ოდესელი ხვდება ოდესელს:
– შენ იცი, ვინ არის ჟან-ჟაკ რუსო?
– არა.
– ის თუ იცი, ისააკ ნიუტონი ვინ არის?
– არც ეგ ვიცი.
– მე კი ვიცი!.. იმიტომ, რომ ყოველ საღამოს ან ლექციებზე დავდივარ, ან მუზეუმში ვარ!
– ყოჩაღ! ახლა შენ მითხარი – თუ იცი, ვინ არის ხაიმ აბრამოვიჩი?
– არა. მაინც ვინ არის?
– ჰოოოო... ეს ის კაცია, რომელიც საღამოობით შენს ცოლთან დადის... დადის მაშინ, როცა შენ ლექციებზე და მუზეუმებში ხარ.

ი/ს „ფანტაზია" | რეგისტრირებულია ისნის რაიონის სასამართლოს მიერ № 7/1-1811 | ალექსანდრე და ვახტანგ ელერდაშვილები | „300 არაგველი" გუთნუს 10 74-64-80